h 43.



ჰამბურგში, გაფიცულებს უნაწილებენ „მეეურაბპომი“-ს დახმარებას.

19 დეკემბერი

რემედასის

საქ. ცენტრალური და ტფ. კომიტეტების ყოველთვიური ორგანო

28 ტფილისი

თვიდან-თვემდე

პროცესი კლაუზენბურგში.

კლაუზენბურგის პროცესის შესახებ ძალიან ბევრი დაიწერა საბჭოთა პრესაში და განსაკუთრებით კი რუმედასის პერიოდიულ და არა პერიოდიულ გამოცემებში. ეს პროცესი მოსმენილი იქნა სამხედრო სასამართლოში, როგორც საერთოდ ყველა მუშათა ორგანიზაციების საქმეები. დაიწყო ის სექტემბ. 10. 114 ბრალდებულთაგან სასამართლოს წინაშე წარსდგა მხოლოდ 76 კაცი. 700 მოწმეებიდან მხოლოდ 300 მიეცა საშუალება ჩვენების მიცემისა. მოწმეთა შორის ძალიან ბევრი იყო ოხრანკის აგენტები და მთელი საქმე მათი ჩვენების მიხედვით სწარმოებდა. ბრალდებულების მიმართ ადგილი ჰქონდა ინკვიზიტორულ მოპყრობას, რომლის მსხვერპლი გახდა თითქმის ყველა პატიმრები, ასეთ მოპყრობის ნიადაგზე ორი პატიმარი გადმოვარდა სიგურიანცის მეორე სართულიდან. ასალგაზრდა ქალმა ხაია ლიფშიცმა თავის მოკვლაც კი განიზრახა, მაგრამ ველარ მოახერხა.

ათეულმა პატიმრებმა ასეთი წამების საპროტესტოდ გამოაცხადეს სიმშილობა, პროფკავშირთა გაზეთის „ვიაცა მუნჩიტეარე"-ს რედაქტორმა სტეფანე ფორიშმა იშიმშილა მთელი 40 დღის განმავლობაში. ბრალდებულები სასტიკ პროტესტს აცხადებდენ სასამართლოს წინაშე საპყრობილის ადმინისტრაციის მხეცური მოპყრობის საწინააღმდეგოდ. აგენტების ჩვენების თანახმად ხ. ლიფშიცს მიესაჯა 15 დღე საკანში მარტო ყოფნა. ბრალდებულები სასამართლოს წინაშე აშკარად ილაშქრებდენ კაპიტალისტური წყობილების მთელი სისტემის წინააღმდეგ და ერთხმად მოითხოვდენ კომუნისტური პარტიის, კომკავშირისა და სხვა მუშათა ორგანიზაციების ლეგალიზაციას.

მაგრამ მიუხედავათ ყოველივე ამისა მთავრობის ბრძანების თანახმად სასამართლომ მაინც გამოიტანა დადგენილება. ამრიგად უნიტარულ პროფკავშირების ბელადს ამხ. კალომან მიულერს მიესაჯა 10 წ. ეადით ციხეში დაპატიმრება, ფრანც ბუკვატს — 10 წ. ლენარს — 6., სასამართლომ გაანთავისუფლა 33 კაცი. დანარჩენებს კი 6 თვიდან 1 წლამდე მიესაჯა ციხეში დაპატიმრება.



ავსტრალიის ტოან პოლიტიკების გაფიცვა. სურათზე — პოლიცია პიეტეკება გაფიცულ მუშებს, რომლებიც გამოვიდენ შტრეიკბეჭერების წინააღმდეგ.

ამ პროცესით ბურჟუაზიამ გამოამჟღავნა თავისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ მას განზრახული აქვს შეუდგეს უნიტარულ (მემარცხენე კლასობრივ) პროფკავშირების ლიკვიდაციას, მშრომელ მასების დევნის უფრო გაძლიერებით. კლაუზენბერგის პროცესს მოჰყვება მიელი რიგი სხვა პროცესები, რომელთა დიდი უმრავლესობა მიმართული იქნება უნიტარულ პროფკავშირების წინააღმდეგ.

რუმინეთის ბურჟუაზიისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სისხლის მორევში ჩაახრჩოს და მიწასთან გაასწოროს რუმინეთის მთელი მშრომელი მოსახლეობა, რათა ამრიგად მოამზადოს ნიადაგი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმოებულ ომის სამზადისში მონაწილეობის მისაღებად.

ბრალდებულთა მიერ სასამართ. წინაშე წარმოებულმა პროტესტებმა, მხეცური მოპყრობის წინააღმდეგ, უდიდესი სიმპატია და გამოძახილი ჰპოვა რუმინეთის მშრომელ მასებში. არდიალსკის ოლქში 1500 მუშამ მოაწერა ხელი იმ საპროტესტო ოქმს, რომელიც გამოტანილი იქნა კლაუზენბურგის პროცესის საწინააღმდეგოდ, ისინი ერთხმად მოითხოვდენ კომპარტიის, კომკავშირის, რუმედასის ორგანიზაციების ლეგალიზაციას და პოლიტ-პატიმრების ამნისტიას.

მუშათა და გლეხთა ბლოკის გაზეთი „ანაინტე" სწერს ამ პროცესის შესახებ: „ბრალდებულ მუშებს სასამართლოს წინაშე ამაყად და მალლა ეჭირა რუმინეთის მუშათა კლასის განთავისუფლების დიადი დროშა". ისინ ამ დროშას ხელიდან არ გაუშვებენ-გამარჯვების უკანასკნელ წუთებამდე.

ჩვენ გვჯერა ეს.

ელგერსბურგში რეგენსბურგის სახლში მოთავსებული ბავშვები. ყორტოდილი დატვირთული რიგოლასთან.

363 (Ქ) (05)
Ა 43.

წელიწადი მეოთხე

№ 11

დეკემბერი

1928

რემედა

რემედასის საქართველოს ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტების ყოველთვიური ორგანო

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

რედაქციის მისამართი: ტფილისი. კომინტერნის ქ. №5. II-რე სართ.

ტელ. 9-78.

რემედასის საკავშირო პლენუმის შედეგები

ამას წინად დასრულდა რემედასის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტის პლენუმი, რომელმაც ჯამი გაუკეთა რემედასის საკავშირო ყრილობიდან დღემდე რემედასის საკავშირო ცეკას მიერ წარმოებულ მუშაობას. პლენუმმა აღნიშნა მთელი რიგი მეტად საინტერესო ღონისძიებები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედვას მომავალში ჩვენი ორგანიზაციების მუშაობას. ყველა იმ საკითხების იერგვლივ. რომლებიც წამოიჭრა პლენუმზე და რომლის გარშემო სწარმოებდა გაცხოველებული კამათი. ჩვენ შევჩერდებით შემდეგზე: 1. თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ პირობებში ჩვენი მუშაობის ხასიათი და მისი მნიშვნელობა. 2. ჩვენი ორგანიზაციის ზრდის საკითხები. 3. ჩვენი ძირითადი უჯრედების მუშაობის გეგმიანობა და მათი გამოცოცხლება.

პირველ საკითხის გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. უკანასკნელ ხანებში წამოჭრილი, რემედასის ორგანიზაციების. საბჭოთა არჩევნებში პრაქტიკულად მონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით.

ამ საკითხს ცენტრალური ადგილი ეჭირა რემედასის საკავშირო ცეკას პრეზიდიუმის მოხსენებაში. პლენუმის დელეგატების ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ პარტიისა და ხელისუფლების მიერ წამოყენებული ყოველდღიურ ამოცანების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობის მიღება ხელს შეუშლის რემედასის პირდაპირ მიზნების — მასების ინტერნაციონალურად აღზრდისა და უცხოელ პოლიტ-პატიმართა დახმარების აღმოჩენის ამოცანების ჯერჯვან სიმაღლეზე დაყენებასო.

ეს საკითხი უდავოდ პრინციპიალური ხასიათისაა და სრულიად სამართლიანად. აღნიშნულია პლენუმის რეზოლიუციაში ის გარემოება. რომ „რემედასის აგიტაცია-პროპაგანდა ჯერ კიდევ სასურველად ვერაა დაკავშირებული საბჭოთა აღმშენებლობის ამოცანებთან".

პლენუმმა გამოიტანა დადგენილება. სადაც გარკვეით არის ნათქვამი. რომ რემედასს არა თუ შეუძლია. არამედ მთელი თავისი ძალღონით უნდა ჩაებას ყველა იმ მასიურ კამპანიებში. რომლის მიზანია მასების პოლიტიკურ და კულტურული დონის ამაღლება. რემედასმა უნდა შესძლოს მშრომელ მასების მთლიანად ჩაბმა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობაში. ცხადია ჩვენ ამით იმისი თქმა კი არ გვინდა [illegible] ჩვენ მასების ინტერნაციონალურად [illegible] ამოცანებსა [illegible] ვუხვევდეთ და მას [illegible] ადგილს ჩვენს მოღვაწეობაში. პირიქით: მასებისინტერნაციონალურად აღზრდა იყოს, არის დღესაც და მომავალშიაც დარჩება რემედასის უმთავრეს ამოცანად. საქმე იმაშია, რომ ჩვენ უნდა შეგვეძლოს ყოველ ცალკე შემთხვევის დროს ისეთი ღონისძიებათა გამონახვა. რომლითაც შეგვეძლება ეს ამოცანა დაუკავშიროთ იმ უდიდესი მნიშვნელობის მუშაობას. რომელსაც წარმოადგენს ჩვენი სოციალისტური კავშირის მეურნეობის აღორძინება და განმტკიცება.

პლეუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აგრეთვე რემედასის ორგანიზაციების მუშაობას სოფლად. პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა ის გარემოება, რომ ამ მხრივ სახარბიელო ჯერ არაფერი გაკეთებულა და რემედასის მეორე საკავშირო ყრილობის დადგენილებები ამ საკითხის შესახებ ადგილებს სისრულეში მოყავთ ძალიან ნელა.

ჩვენი ორგანიზაციების მოღვაწეობაში ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საერთაშორისო მებრძოლ პროლეტარიატისადმი მატერიალურ, თუ მორალურ დახმარების აღმოჩენისა და კაპიტალის სიმაგრეებში გამოკეტილ რევოლიუციონერებთან ერთსულოვნების განმტკიცების ლოზუნგების იერგვლივ რემედასმა უნდა შესძლოს მთელი

ავღანისტანის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საბჭოთა კავშირში—**გულიამ-ნაზი-ხანი**, მოსკოვის სადგურზე ჩამოსვლის დროს.

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

რურის ოლქში მელითონეთა ლოკაუტის გამო. სურათზე: მასიური მიტინგი დიუსელდორფში.

ასი პროცენტით სოფლის ღარიბ-ღატაკთა დარაზმვა. რემედასმა ხელი უნდა შეუწყოს ამ უკანასკნელთა კულტურულ-პოლიტიკურ დონის ამაღლებას, რომელიც ძლიერი იარაღია საბჭოთა სოფელში მშრომელთა შორის კულტურული რევოლიუციის ამოცანების გასაღრმავებლად.

ამ საკითხის შესახებ ნათელ სურათს იძლევა პლენუმის რეზოლიუცია, სადაც გარკვევით არის ნათქვამი, თუ როგორ უნდა აწარმოონ ორგანიზაციებმა ამ მხრივ თავიანთი მუშაობა სოფლად.

რემედასის ხელმძღვანელ ორგანოებში წამოყენებულ უნდა იქნან სოფლის უღარიბესი, საშუალო და ღარიბი გლეხები; სოფლის უჯრედებზე ხელმძღვანელობის სიმძიმე გადატანილ უნდა იქნეს სასოფლო გაერთიანებებზე; უნდა ჩამოყალიბდეს რემედასის სოფლის აქტივი, რემედასის მუშური უჯრედების მიერ უნდა იქნეს აღებული შეფობა რემედასის სოფლის, გლეხურ უჯრედებზე. ქოხსამკითხველოები უნდა გადაიქცენ რემედასის სააგიტაციო-საპროპაგანდო კერად.

რემედასის კომიტეტებთან ჩამოყალიბებულ უნდა იქნას სპეციალური კომისიები, რომლებსაც უნდა დაევალოს სოფლად რემედასის მიერ ჩატარებულ მუშაობის აღრიცხვის წარმოება. მიღებულ უნდა იქნას ზომები რათა გაძლიერდეს რემედასის სოფლის უჯრედების მატარიალური მხარე.

აი, რემედასის საკავშირო პლენუმის დადგენილებათა ძირითადი მომენტები, რომლის ცხოვრებაში გატარებაშ შესამჩნევად უნდა გამოაჯანსაღოს და გამოაცოცხლოს რემედასის ორგანიზაციების მოღვაწეობა სოფლად.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია პლენუმის ამ დადგენილებების ფართედ გაშუქება მშრომელ მასებში და რემედასის, როგორც სოფლის, ისე ქალაქის ორგანიზაცია-უჯრედებში.

სოფლად რემედასის ორგანიზაციების ზრდის ხელის შეწყობასთან ერთად არ უნდა დავიიწყოთ ის გარემოებაც, რომ საჭიროა ერთი-ორად გაძლიერებულ იქნეს რემედასის ორგანიზაციული მუშაობა წითელარმიელებსა და მშრომელ ქალთა შორის. ამავე დროს სერიოზული ყურადღებით უნდა მოვეპყრათ რემედასის მუშაობას სოფლად და ქალაქად წერა-კითხვის უცოდინართა შორის.

პლენუმში უარყოფითად შეხვდა რემედასის „იურიდიულ წევრობის" შესახებ მიღებულ გამოცდილებებს, რომელსაც ადგილი აქვს მთელ რიგ ორგანიზაციებში და წევრობის საკითხის შესახებ ადგენს, რომ ჩვენ უნდა ვხელმძღვანელობდეთ რემედასის ძირითად პრინციპიალური ხაზით, რომელიც მიიღო ჯერ კიდევ რემედასის პირველმა ყრილობამ.

იმ საკითხებიდან, რომლებიც შეეხება ჩვენი ძირითადი ორგანიზაციების მუშაობას, უნდა შევიხოთ მხოლოდ ფინანსიურ მუშაობის საკითხს, ე. ი. რემედასის საკავშირო ცეკასა და საკავშირო ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს შორის დადებულ ხელშეკრულებას. პლენუმმა მიზანშეწონილად სცნო ცეკას მიერ მიღებული ღონისძიება და დაადგინა, საამისოდ წინასწარ მოსამზადებელ მუშაობის ჩატარების შემდეგ, არა ოგვიანეს მომდინარე წლის მარტის პირველისა ეს რეფორმა ცხოვრებაში იქნეს გატარებული.

რაც შეეხება უჯრედის სხვა დანარჩენ ორგანიზაციულ მუშაობას, პლენუმმა ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საჭიროა შემოღებულ იქნეს მკაცრი ფინანსიური დისციპლინა. პლენუმმა ჯეროვანი ყურადღება მიაქცია აგრეთვე საწევრო დავალიანების დაგროვებას და მოითხოვს მისი სასწრაფო ლიკვიდაციას. პლენუმის დადგენილებით 1929 წლის მაისის პირველამდე ლიკვიდაცია უნდა გაუკეთდეს ყველა ისეთ საკომერციო ხასიათის დაწესებულებებს, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ რემედასთან. პლენუმი საჭიროდ სთვლის ყველა ორგანიზაციებში მაქსიმალურად შემცირებულ იქნეს ყოველგვარი საორგანიზაციო ხარჯები და გადაჭრით იქნეს აღებული გზა იქითკენ, რათა რაც შეიძლება უფრო აქტიურად იქნან ჩაბმულნი რემედასის მუშაობაში ნებაყოფლობითი აქტივთა კადრები.

მუშა მქსოველებს რემედასის ბიუროში შეაქვთ საწევრო ანარიცხები.

სხვა დანარჩენ საკითხთა შორის საყურადღებოა გამომცემლობის ირგვლივ მოსმენილი მოხსენება. პლენუმი აღნიშნავს, რომ წარსულთან შედარებით გამომცემლობას უდაოდ დიდი მიღწევები აქვს, როგორც თვით პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, ისე მისი მასებში გავრცელების მხრივ. მომავალში კი ამ საქმის უფრო გაძლიერება და გაცხოველება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეეძლებთ ჩვენ რემედასის მკითხველი მასის ჩამოყალიბებას.

პლენუმმა დაადგინა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს 1929 წლის განმავლობაში რემედასის პერიოდიულ გამოცემებზე ხელის მოწერის წარმოებას. ხელის მოწერის კამპანიის ჩატარება ჩვენს საგამომცემლო საქმიანობაში ერთ უმთავრეს ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული და მას ჯეროვანი ყურადღებით უნდა მოეპყრან რემედასის ადგილობრივი ორგანიზაციები.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ პლენუმის ყველა დადგენილებებს მშრომელ მასებში ფართედ გააშუქებს რემედასის აქტივი. რათა ეს გადაწყვეტილებანი საფუძვლად დაედვას ჩვენს მუშაობას მომავალში.

რემედასის კვირეული საქართველოში

სრული ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის გამარჯვებულმა მუშათა კლასმა მტკიცე საძირკველი ჩაუყარა რემედასის ორგანიზაციას, რომელსაც მთელი პროლეტარული მსოფლიო სამართლიანად უწოდებს — საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციის წითელ ზურგს.

რემედასის გაძლიერების იდეა ელვის სისწრაფით მოედო მთელ მსოფლიოს და დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი კუთხე სადაც აშკარად თუ ფარულად არ მოღვაწეობდეს ის.

რემედასის ორგანიზაციისაკენ მშრომელ მასების ასეთი ლტოლვა ადვილად გასაგებია. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ უმთავრესად იმ უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობის ამოცანების საიდუმლოებაში, რომელსაც ჰქვია კაპიტალის ციხე-ჯურღმულებში მოქცეულ პოლიტ-პატიმრებისადმი ნივთიერი და მორალური დახმარების აღმოჩენა.

ამ ორ ამოცანას რემედასი ერთგულად ემსახურება მთელი ექვსი წლის მანძილზე. რემედასი აშკარად და თავგამოდებით ებრძვის კაპიტალისტურ ქვეყნებში გაბატონებულ მმართველ კლასებისა და მათი მაჩანჩალა სოციალგამყიდველათა ვერაგობას, რომლითაც ისინი ცდილობენ პროლეტარიატის გამანთავისუფლებელ მოძრაობის შენელებას.

ამ ექვსი წლის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პროცესი კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომლის საპროტესტოთ ერთსულოვნად არ გამოსულიყოს რემედასის და მისი საზღვარგარეთელი მოძმე ორგანიზაციების მრავალ მილიონიანი მასსა. არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური მკვლელობა კოლონიალურ, თუ ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში, რომლის დაფარული საიდუმლოება დღის სინათლეზე არ გამოეტანოს რემედასს თავისი პროლეტარული პრესის საშვალებით.

ამ მუშაობასთან ერთად ის აქტიურად ჩაბმულია პროლეტარულ მასების ინტერნაციონალურად აღზრდაში. ამ მხრივ მას თვალსაჩინო მიღწევებიც აქვს. ეს ჩვენში, სადაც რემედასისათვის სამოქმედო ასპარეზი გადაშლილა და ხელისუფლებაც ყოველმხრივ დახმარებას უწევს მის წამოწყებებს, მაგრამ ბურჟუაზიულ ქვეყნებში რემედასის ორგანიზაციებს სულ სხვა პირობებში უხდებათ მუშაობის წარმობა. მათ ორგანიზაციებს შლიან ხელისუფლების წარმომადგენლები. მის ცალკე წევრებს-კი საპატიმროსაკენ მიერეკებიან თეთრი ტერორისა და ფაშიზმის ერთგული ნაძირალები. ხოლო ორგანიზაციის მთელ ქონებას

უცხოელი კორესპონდენტები ტფილისში.

კონფისკაციას უკეთებენ. ბურჟუაზიულ ქვეყნებში მუშათა კლასი მაინც არ უშინდება რეპრესიებს და ის შეძლებისდაგვარად რევოლიუციონურ ბრძოლასთან ერთად აწარმოებს პოლიტ-პატიმართა დახმარების საქმის მოგვარებას.

მთელ რიგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში რემედასი და მისი მოძმე ორგანიზაციები თითქმის ჰერქვეშ არიან მოქცეულნი. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ გერმანიის რემედასი. „ჰ ო ტ ე ჰ ი ლ ფ ე“, რომელიც ლეგალურ პირობებში მოღვაწეობს და სისტემატიურად, ყოველ წლიურად, ზამთრის პერიოდში ატარებს, ე. წ. „ს ა შ ო ბ ა ო კ ა მ პ ა ნ ი ა ს“. ამ კამპანიის დროს აგროვებენ ტანისამოსს, სურსათ-სანოვაგეს, ფულს და სხვა და სხვა სახის საჩუქრებს და უგზავნიან პატიმრებს ციხეში, ვინაიდან გერმანიაში პოლიტ-პატიმრებზე სურსათ-სანო-

ეგოისტ-და სხვა საჩუქრების გადაგზავნა-ნება დართულია მხოლოდ საშობაოთ.

ჩვენში-კი სულ სხვა პირობებია. სულ სხვა ამოცანები აქვს რემედიას დასახული საბჭოთა კავშირში. რემედასი აქტიურად ჩაბმულია ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში, კულტურულ რევოლიუციის ამოცანების განხორციელებაში და რაც მთავარია მასების ინტერნაციონალურად აღზრდაში:

ბოლონელ სტუდენტების მიერ დარბეული უკრაინული სტამბა ქ. ლვოვში.

ჩვენ ზოგჯერ გვეუბნებიან, თითქოს რემედასი კმაყოფილდებოდეს მარტოოდენ პოლიტ-პატიმრებისადმი დასახმარებელ თანხების შეგროვებით. ეს მოსაზრება მართალი არ არის. ამას იმეორებენ ის ამხანაგები რომლებიც არავითარ მონაწილეობას არ იღებენ რემედასის საქმიანობაში და რატომლაც გაურბიან მას. დროა ეს მოსაზრება ერთხელ და სამუდამოთ უარყოფილი იქნეს.

დროა რემედასის მუშაობაში აქტიურად ჩაებან ის ამხანაგები, რომლებიც ჩვენთან უნდა იყვნენ. დროა რემედასის მიერ ჩატარებულ მუშაობას ჯეროვნად მოეპყრას საბჭოთა საზოგადოება და მომავალში თვით ჩაებას აქტიურად ჩვენი ამოცანების განხორციელებაში.

როგორც ვიცით რემედასი საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად ატარებს საზამთრო კამპანიას, დღემდის ეს კამპანიები უფრო მატერიალურ ლონისძიებების გაძლიერებას ისახავდა მიზნად. წელს, რემედასის მიმდინარე კამპანიას სულ სხვა მიზნები აქვს დასახული. ჩვენ უკვე კარგა ხანია რაც წამოვისროლეთ ლოზუნგი იმის შესახებ, რომ რემედასი აქტიურად უნდა მოღვაწეობდეს ჩვენი ახალი ყოფა-ცხოვრების ყველა სფეროებში. მასში გამოძახილს უნდა ჰპოულობდეს პარტიისა და ხელისუფლების სადღეისო ამოცანები.

ჩვენ უკვე კარგა ხანია რაც შეუდეგით საბჭოთა გადარჩევის კამპანიისათვის წინასწარ მოსამზადებელ მუშაობის ჩატარებას. რემედასი ხელს უწყობს ჩამორჩენილ რაიონებში მშრომელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. მათ პოლიტიკურ დონის ამაღლებას და სხვ.

ამრიგათ. როგორც ვხედავთ რემედასმა საგრძნობლად გააფართოვა თავისი სამოქმედო გეგმა და ის დღითი-დღე უფრო და უფრო იჭრება ჩვენს სინამდვილეში.

საქართველოში რემედასის კვირეული მიზნად ისახავს გამოარკვიოს რემედასის წევრთა მასის პოლიტიკური დონე. რათა ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმის შესახებ, თუ რამდენად მომზადებულია ჩვენი მასა ყველა იმ ამოცანების განსახორციელებლად. რომელსაც ისახავს რემედასი განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში.

ჩვენ შევდივართ ჩვენი ორგანიზაციის განვითარების სრულიად ახალ სტადიაში და აქ უწნარეს ყოვლისა საჭიროდ მიგვაჩნია გადავხედოთ წარსულ მუშაობის შედეგებს. ჩვენს რეალურ შესაძლებლობას. რომ ნათლად დავინახოთ თუ რისი გაკეთება შეგვიძლია მომავალში.

ჩვენი კვირეულის მიზანია უცხოეთის პოლიტ-პატიმართა დასახმარებლად თანხების დაგროვებასთან ერთად გავაძლიეროდ და გავაღრმავოთ მშრომელ მასების ინტერნაციონალურად აღზრდა. ჩვენი მიზანია რემედასის რიგებში ჩავაბათ საბჭოთა საზოგადოებრიობა მთელი ასი პროცენტით. რათა ჩვენი სოციალისტური ქვეყანა მტკიცედ და ერთსულოვნად დადგეს საერთაშორისო რევოლიუციის სადარაჯოზე.

ჩვენ უნდა განვამტკიცოთ საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის წითელი ზურგ.— აი ჩვენი უმთავრესი ამოცანა.

ჩვენ გვჯერა, როგორც თვით რემედასის წევრები, ის მშრომელთა ფართე მასები მხურვალედ გამოეხმაურებიან რემედასის მოწოდებას და ისინი პირნათლად შეასრულებენ თავიანთ კლასობრივ მოვალეობას უცხოეთის პოლიტ-პატიმართა, მათი ოჯახებისა და მებრძოლ მუშათა კლასის წინაშე.

ალ. ქოიავა.

საბჭოთა კანტონის წლის თავი

ერთი წლის წინ კანტონში მომხდარი აჯანყება მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა შეიქნა. ეს იყო კოლონიალური რევოლიუციის განვითარებაში უმაღლესი წერტილი. არც 1927 წლის 11 დეკემბრამდე და არც შემდეგ არ ყოფილა მეორე საბჭოთა კანტონი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ თითეულ კოლონიალურ ქვეყნებში, რომელიც კი განიცდის მსოფლიო იმპერიალიზმის მძიმე უღელს აუცილებლათ იქნება ძლევამოსილი კანტონი.

1927 წლის კანტონი — ეს იყო ჩინეთის ეროვნულ რევოლიუციის ის საფეხური, როდესაც ჩინეთის ბურჟუაზიამ ულალატა რევოლიუციას და მიყიდა ის უცხოეთ იმპერიალისტებს. როდესაც ეროვნული ბურჟუაზია ...

ბრძოლა ინგლისელ იმპერიალისტებთან და თავის ქვეყნის ფეოდალებთან მუშებისა და გლეხთა მასების ხარჯზე.

რევოლიუციის მამოძრავებელ ძალათ დარჩა პროლეტარიატი და გლეხობა. მათ უნდა გადასჭრან ეროვნული რევოლიუციის ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური, მორიგი ამოცანები. სოციალიზმის განხორციელება ჯერ კიდევ არ დასმულა დღის წესრიგში. ჯერ-ჯერობით დღიურ საკითხათ იყო უცხოეთის იმპერიალისტების გარეკვა ჩინეთიდან და ავრარულ დამოკიდებულებაში რევოლიუციონური გარდატეხის მოხდენა.

„ძირს იმპერიალიზმი!", „მიწები გლეხებს!", „პური მუშებს!", „ძირს გომინდანის ხელისუფლება!", „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!", — ასეთი იყო აჯანყებულების ლოზუნგები.

საბჭოთა მთავრობა კანტონში არსებობდა სულ სამი დღე (11-13 დეკ.) პირველი მისი დეკრეტი იყო 8 საათის სამუშაო დღე, ხელფასის მომატება, მიწების ჩამორთმევა და ვალებისა და საიჯარო ვალდებულებების გაუქმება.

ეს ლოზუნგები და დეკრეტები ჯერ კიდევ არ იყო სოციალისტური დეკრეტები. მაგრამ, ცხადია, ბურჟუაზიის კონტრ-რევოლიუციონური როლი, მისი გადასვლა იმპერიალისტებისა და ფეოდალების მხარეზე, თუ რევოლიუციის საქმე წარმატებით წავიდოდა, ქმნიდა ნიადაგს იმისათვის, რომ ეს რევოლიუცია თანდათან გადასულიყო სოციალისტურ რევოლიუციის საფეხურზე.

მას შემდეგ, რაც იმპერიალისტების და ფეოდალების ბატონობას ბოლო მოეღებოდა, მუშები და გლეხები ადგილობრივ ბურჟუაზიასაც მოუსპობენ ეკონომიურ ბატონობის არსებობას.

კანტონის აჯანყება იყო მშრომელთა მასების ნამდვილი აჯანყება, მათი მოწინავე რაზმის გამოსვლა და ამაშია აგრეთვე მისი ის დამახასიათებელი თვისება, რომელიც ამ აჯანყებას აქცევს ჩინეთისა და ყველა რევოლიუციონური ქვეყნის რევოლიუციის ისტორიის უდიდეს მოვლენათ. ეს იყო მუშებისა და გლეხების დამოუკიდებელი გამოსვლა, არა მარტო აჯანყებულთა მოთხოვნილებების მიხედვით, არა მარტო რევოლიუციონური მთავრობის



კ ა ნ ტ ო ნ ი

დეკრეტების მიხედვით, არამედ აჯანყების მოწყობის და მასში მონაწილეობის მიხედვითაც.

მებრძოლი მუშათა რაზმები, მუშების წითელი გვარდია, პროფკავშირები, შეზღვაურები და კანტონის მახლობლად მცხოვრები გლეხები — აი ვინ აჯანყდა, აი ვინ ეპყრა ძალაუფლება 3 დღის განმავლობაში წითელ კანტონში.



დემონსტრაცია ქალაქ კანტონში.

ჩინეთის კომპარტია — აი, ვინ ხელმძღვანელობდა აჯანყებულ მასებს, აი, ვინ იზიარებდა მათთან ერთად აჯანყების მოწყობისა და ჩატარების სიმძიმეს: აი, ვინ იზიარებდა დამარცხების მთელ სიმძიმესაც. მრავალი ათასი კომუნისტის სისხლი დაიღვარა, მრავალ ათეულ ათას უპარტიო მუშებისა და გლეხების სისხლთან ერთად. ეს ისეთი თესლი ჩაითესა მიწაში, რომელიც დიდ ნაყოფს გამოიღებს.

ჩინეთის რევოლიუციის გზა კანტონის აჯანყების შემდეგ კიდევ უფრო ძნელი შეიქნა, ვიდრე მანამდე იყო. უკანასკნელი წელი გამძვინვარებული რეაქციის თარეშის წელი იყო, რომელიც არავითარ თავშეკავებას არ იჩენდა მუშების, გლეხებისა და კომუნისტების წინააღმდეგ მიმართულ სიმხეცეში. დღემდე ჩინეთში თითქმის ყოველდღიურათ ხდება რევოლიუციონერების სიკვდილით დასჯა, აღვირ-ახსნილი ბურჟუაზია, ფეოდალები და იმპერიალისტები მით უფრო მეტ სიმხეცეს იჩენენ რამდენადაც ისინი გრძნობენ, რომ ვერ აიცლებენ ისტორიულ შურის ძიებას ჩადენილი სიმხეცისათვის.

რაკი რეაქციონერების უსაშნელესი ჯალათობა კვლავ გრძელდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩინეთის რევოლიუცია არც ერთი დღით არ შეჩერებულა, ის მხოლოდ დროებით მიყუჩდა, რომ შემდეგში მეტის ძლევამოსილებით დაეტაკოს ჩინეთის ხალხის მჩაგვრელებს. ამ საათს მოელის მთელი მშრომელი კაცობრიობა, რადგან ჩინეთის რევოლიუციის გამარჯვება იქნება უძლიერესი მეხი იმპერიალისტების თავზე: ის ხელს შეუშლის ახალი ომების საძზადისს, რომელზედაც ასე გაფაციცებით ზრუნავს დღეს მსოფლიო კაპიტალი.



საბჭოთა წარმომადგენლობის სახლი კანტონში, რომელიც დაარბიეს ჩინელ ბანდიტებმა.

ამჟამად მხოლოდ საბჭოთა კავშირი გამოდის საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობიანობის ერთადერთ დამცველად. მაგრამ მსოფლიო ონავარების ამხედრებულმა იმპერიალიზმმაც იცის თავისი საქმე, როდესაც ის ავრცელებს ჭორებს „საბჭოთა აგენტების" შესახებ აღმოსავლეთში. ის ადრევე გრძნობს იმ მუქარას, რაც მოელის მის იმპერიალისტურ ზრახვებს კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ აღმოსავლეთიდან, ის ხედავს, რომ აღმოსავლეთი სტიქიურად მიექანება საბჭოთა კავშირისაკენ, რომლის დროშაზე აწერია მშვიდობიანობა და დაჩაგრულიერების დაცვა.

საერთაშორისო პროლეტარიატი კანტონის დიდი აჯანყების წლის თავზე ერთხელ კიდევ მოუწოდებს თავის რევოლიუციონურ რიგებს — დაიცვან კოლონიალური რევოლიუციონერები და მათ შორის ჩინეთის რევოლიუციაც.

საერთაშორისო პროლეტარიატი გაიხსენებს და გაახსენებს ყველას იმ ისტორიულ ფაქტს, რომ ჩინეთის მუშებმა და გლეხებმა, როდესაც ისინი შეეცადენ ძალა-უფლების ხელში აღებას, იმპერიალისტებისა და ფეოდალური გენერლების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლის დროს შექმნეს კანტონში საბჭოთა ხელისუფლება, ისეთივე ხელისუფლების ჩანასახი, როგორიც საბჭოთა კავშირში არსებობს უკვე 11 წელია.

ეს ფაქტი ყველაზე უფრო გარკვევით ეუბნება მშრომელ მასას, თუ რა არის საბჭოთა ხელისუფლება, რა არის საბჭოთა კავშირი და ვისი ინტერესებისათვის ებრძვის ის საერთაშორისო იმპერიალიზმს.

შვიდი ნოემბერი ავსტრიაში

ავსტრიის ფაშისტური ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია მთავრობის ხელის შეწყობითა და მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზიის მიერ უდიდესი მატერიალური ლონისძიებათა აღმოჩენით, ეხლა ავსტრიაში ისე მტკიცე ნიადაგს გრძნობს, რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ მოახდინონ თავიანთი ძალთა დათვალიერება ვინტერ-ნეშტასდში, ქვედა-ავსტრიის ერთ-ერთ სამრეწველო ცენტრებში, სადაც ქალაქის თვითმართველობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელშია.

ეს ფაშისტური გამოსვლები დანიშნული იყო შვიდი ნოემბრისათვის. ამ აშკარა პროვოკაციის შესახებ ცნობების გამოქვეყნებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მუშათა კლასის ფართე მასებში და გადაწყვეტილი იქნა უდიდესი წინააღმდეგობა გაეწიათ ფაშისტებისათვის.

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ წინასწარ იცოდა რა, ის გარემოება თუ რამდენად ძლიერი იყო ავსტრიის რევოლიუციონური პროლეტარიატი, გადასწყვიტა იმავე წლის, იმავე დღესვე მოეწყო თავისი კონტრგამოსვლები.

კვირას ნოემბრის შვიდს მოეწყო ორივე დემონსტრაცია — ფაშისტური და სოციალ-დემოკრატიული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფაშისტურ დემონსტრაციას იცავდა ხელისუფლება, რომელმაც ამ მიზნით მობილიზაცია გაუკეთა მთელ თავის აპარატს, ჯარებს, ჟანდარმებს და პოლიციას, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ ტყვიამფრქვეველებით, გაზიანი ყუმბარებით და სხვა საომარი იარაღებით. ამრიგად ვინერ-ნეიშტადი წარმოადგენდა ნამდვილ სამხედრო ბანაკს შეტაკებების მოსაწყობად. მაშინ, როცა ხეიმვერს შეეძლო სრულიად უშიშრად დილით ეწარმოებია თავის რიგების დათვალიერება, სოციალ-დემოკრატებმა თავიანთი საზეიმო გამოსვლები მოაწყვეს დღისით, შვიდ ნოემბრამდე ორი კვირით ადრე სოციალ-დეოკრატიულ პარტიის ბელადებმა გამოაცხადეს, რომ ხეიმვერის ვერც ერთი წევრი ვერ გაბედავს ვინერ-ნეიშტადში გამოცხადდესო. მაგრამ სრულიად წინააღმდეგ მოხდა, სწორედ შვიდ ნოემბერს ფაშისტები გახდენ მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი.

ერთად-ერთი პარტია, რომელმაც მუშებს მოუწოდა წინააღმდეგობა გაეწიათ ფაშისტების გამოსვლებისათვის — ეს იყო კომუნისტური პარტია, მისი თაოსნობით მოეწყო წარმოებათა წარმომადგენლების კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობდენ თითქმის ყველა რევოლიუციონური ორგანიზაციები, ამავე კონფერენციაზე საფუძველი ჩაეყარა და ჩამოყალიბდა ფაშისტების წინააღმდეგ მომქმედი კომიტეტი.

ზეიპელის მთავრობის პროვოკაციულმა მოქმედებამ და სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ბელადების კაპიტულიაციამ ხელი შეუწყვეს იმას, რომ ავსტრიის კომპარტიის ლოზუნგებმა ფართე გამოხმაურება ჰპოვეს მუშათა მასებში, რასაც შედეგად მოჰყვა რეპრესიები და სოც.-დემოკრატიული პარტიის ბელადების გადამტერება კომპარტიასა და მოქმედების კომიტეტისადმი.

კომპარტიის მიერ შვიდ ნოემბრისათვის ვინერ-ნეიშტადში დანიშნული დემონსტრაცია აკრძალეს. ოქტომბრის 5-ს უკვე დააპატიმრეს კომპარტიის ც. კ. და მოქმედების კომიტეტის წევრები, ამავე დროს დააპატიმრეს მთელი რიგი სოც.-დემ. მუშები. გახზრახულია ყველა მათი პასუხისგებაში მიცემა სახელმწიფოს ღალატისათვის. გაცემული იყო განკარგულება, რათა შეეპყროთ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელი შემადგენლობა და 8 ოქტომბერს დააპატიმრეს ც. კ. კიდევ 3 წევრი, მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა.

კათოლიკურმა მთავრობამ ბრძოლა გამოუცხადა არა მარტო კომკაოტიის ბელადებსა და მოქმედების კომიტეტის წევრებს, არამედ იმ მუშებსაც კი, რომლებიც კომპარტიის ძოწოდებით ნოემბოის მვიდს ვინერ-ხეიშტადში გამოცხადდეს დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად.

ამ დღეს დააპატიმრეს ყველა მუშები, რომლებზედაც ეჭვი მიიტანეს კომ. პარტ. წევრობაში და ყველა რევოლიუციონურად განწყობილი სოც.-დემ. პარტიის წევრი მუშები. ვენასა და ვინერ-ნეიშტადს შორის გზაზე ჟანდარმები თავს დაესხენ 200 მუშას, დააპატიმრეს ისინი და შეიარაღებულთა თანხლებით უკანვე დააბრუნეს ქ. ვენაში. მუშების ნაწილმა გზაზე მატარებლიდან მოახერხა გაპარვა, ხოლო დასარჩენები კი მიიყვანეს პოლიციის სამმართველოში. სხვაგანაც ჰქონდა ადგილი მუშათა ჯგუფების დაპატიმრებას. თვით ქალაქში დააპატიმრეს ყველა მუშები და მუშა ქალები, რომლებიც თანაგრძნობით მოეპყრენ კომპარტიის გამოსვლებს.

ამხ. ტოსიო ხატორი, რომელსაც ბრალი ედება ოსაკაში კომკავშირის ორგანიზაციის ჩამოყალიბების გამო.

ამხ. დელა მაჟორი.
იტალიელი კომუნისტი. აწამეს ფაშისტებმა.

საკითხავია, როგორ შეეძლო ჟანდარმერიასა და პოლიციის მოხელეებს გამოეცნოთ კომუნისტები. სრულიად ადვილად. მათ აქტიურ დახმარებას უწევდენ სოც.-დემოკრატები, რომელთა მითითებით აპატიმრებდენ ჩვენს პარტიულ ამხანაგებს.

აპატიმრებდენ და სდევნიდენ არა მარტო კომუნისტებს, არამედ ავსტრიის „წითელი დახმარების" მუშაკებსაც კი, რომლებმაც ვინერ-ნეიშტადში პატიმართა დასახმარებლად გააგზავნეს სანიტარული ავტომობილი. ბურგომისტრის თანაშემწე მიეარდა ავტომობილს, რომელშიაც ისხდენ სოც.-დემოკ. ექიმი და მოწყალების დები, დააპატიმრა ისინი და სასწრაფოთ გაგზავნა სასამართლოს განკარგულებაში. რემედასის ვექილების დახმარებით ისინი გაანთავისუფლეს მხოლოდ ორი დღის შემდეგ.

დააპატიმრეს აგრეთვე უცხოელებიც: საერთოდ დაპატიმრებულთა რაოდენობა უდრის 1000 კაცს. ავსტრიის „წითელმა დახმარებამ" ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მზად არის დაეხმაროს პოლიციისა და თეთრი ტერორის მსხვერპლს, როცა ამას მოითხოვს საჭიროება.

დღეს საპატიმროში გამომწყვდეულია კომპარტიის ც. კ. 14 წევრი და მოქმედების კომიტეტის წევრები, რომელთაც ბრალდებათ წაყენებული აქვთ სახელწიფოს ღალატი. „დემოკრატიულ" ავსტრიაში საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ კომპარტიის დაძახილზე გამოსულ ამხანაგებს ასამართლებენ როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ მებრძოლ ამხანაგებს. დაპატიმრებულ ამხანაგების ოჯახებზე ზრუნვა, რომლებმაც დაჰკარგეს სამსახური ევალება აგრეთვე „წითელ დახმარება"-ს. პატიმარი სოც.-დემ მუშები არავითარ იურიდიულ დახმარებას არ ღებულობენ არც თავიანთ პარტიიდან, არც პროფ-კავშირიდან.

„წითელმა დახმარება"-მ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ ამხანაგებს აღმოეჩინოს იურიდიული დახმარება რემედასის ვექილების მიერ.

შ. შორი.

მზეში შედუღებული სახელები

არიან ადამიანები — ვით შემოდგომის თოვლ-ჭყაპიანი დღეები. არ არის დილა, არ არის დღე და არც საღამო.

ყველაფერი რუხი ფერით დაფარულია, სინესტეა, ტალახი, მოლიპული...

მათი სახელი — დროა, რომელიც საჭიროა იმათი დასავიწყებლად...

მრავალნი არიან ისინი, უთვალავნი, აურაცხელნი...

განა ცოტა აქვს წამი მარადისობას?..

*
* *

არიან ადამიანები გაზაფხულის სიცხოველით აღტკინებულნი და აღგზნებულნი...

მიწა ჩაჭედილია ყინულის არტახებში, ქარ-ბუქი ხმაურობს, მაგრამ ვიღაც გამოჩნდა და მიწას მოხსნა შავი რიდე, ბნელი სუდარა... რადგანაც ის ცოცხალია, მას არ სჭირია რიდე, მას არ უნდა სუდარა.

შთამგონებელი, სიცოცხლით სავსე გაზაფხული — ეს ადამიანები არიან.

მათი სახელები მზეშია შედუღებული.

დე, ცას ებუროს ჯანყი, მას ფარავდეს ბურუსი, რაა შერე, განა საგრძნობი არ არის, რომ მზე მაინც არის, რომ ის მაინც ანათებს?!...

არის მზე, არიან გაზაფხულით აღტკინებული ადამიანები.

კარლ ლიბკნეხტი — ჩვენი კარლი.

როზა ლიუქსენბურგი

როზა ლიუქსენბურგი — წითელი როზა.

ასე უწოდებს მას მთელი რუსეთის ახალგაზრდობა.

რა უშავს მერე, თუ ისინი, ორივე არ გასვენებულა დაზგების ძლიერ ხმაურში.

ისინი წარმოიშვენ პროლეტარიატის თავი და ტვინიდან.

ისინი მისი მრწამსია, შეურყეველი და გამძლე...

... მუშა ახალგაზრდობამ კარგად იცის საკუთარი მრწამსი...

*
* *

„ბერლინში შეკრებილი გერმანელი ახალგაზრდობა თავის კარლთან ერთად სალამს უგზავნის რუს ამხანაგებს და ფიცს სდებს, რომ ის მზად არის მიჰყვეს მათ სახელგანთქმულ მაგალითებს".

ეს სიტყვები გაისმა სრულიად რუსეთის ახალგაზრდობის პირველ ყრილობაზე...

რისთვის ცეცხლად არ აანთებს ელვა ქვის ლოდებს!...

საკვირველი და სასაცილო კითხვაა: რისთვის, რატომ ვერ აენთებიან ისინი?!.

საკვირველია... ცხადია... მაგრამ, ხომ არის, ხომ არსებობს ქვათა სული?!.

... რუსეთის მუშა ახალგაზრდობამ დაამტკიცა, რომ არის ცეცხლი მუდამ გიზგიზა, რომელიც არასოდეს აღარ ჩაჰქრება.

*
* *

მზე მოსჩანს წვეთშიაც კი...

არის რუსეთში კარლ ლიბკნეხტის სახელობის კლუბები. რუსეთში არ არის ისეთი გუბერნია სადაც არ არსებობდეს ის.

ერთხელ მე ჩაუარე მახლობლად ასეთ კლუბს და მოესმა იქიდან:

— ჩაეწერე თუ არა შენ ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირში?...

— დიახ!

— რატომ?

მას ცალ ხელში ეჭირა ბარათით მიღებული მეოთხედ გირვანქა პური, მეორეთი — მიუთითა კლუბის აბრაზე და დაატანა:

— ისიც კომუნისტი იყო...

განა ძვირფასი არ არის წვეთი, რომელშიაც ელვარებს მზის ნამცეცი?...

*
* *

ამას წინად მე გავიგე, რომ არსებობს „სოფელი როზა ლიუქსენბურგი".

რუსეთის მიყრუებულ ადგილებში, რომელთა შესახებ ეხლა კითხულობენ ევროპიელები: „რამდენი ლირს იქ

ოთხი დათვებით გასეირნებაო". — ამ რუსეთში ცოცხლობს როზა ლიუქსენბურგის აზრი! საკვირველია, რუსები ხომ ეგრე უკულტურონი არიან...

რატომ მაინცადამაინც „როზა ლიუქსენბურგი" ღიაფრა „ოკინის კანცლერი"?

ეს აზრი გაუგებარია კულტურულ. თეთრი დათვებისათვის, რომლებსაც უყვართ ბალეტი და ღირებულების თანისთან აწვეა.

არც საჭიროა...

* * *

— ვაქებო — იყავით ისეთი, როგორიც კარლ ლიბკნეხტი იყო!

— ახალხაზრდა ქალებო — იყავით ისეთი, როგორიც როზა ლიუქსენბურგი იყო!

სად სწერია ეს? ევროპაში?

არა, ღარიბი და მუშურ-გლეხურ რუსეთში!

— პლაკატები... — ხითხითებს ბურჟუა.

— ჩვენი დროშა! — საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ყველა კუთხეებში მწყობრად დარაზმული მიემართება ახალგაზრდობა 15 იანვარს დაჭრილ მზისაკენ, რომელსაც გამუდმებით სდის სისხლის წვეთები.

დღეს, ახალგაზრდობა, ქალები და ვაჟები რათ ეუბნებიან ერთიმეორეს:

— სცოცხლობს ჩვენი კარლი!

— სცოცხლობს წითელი როზა!

იმიტომ, რომ ჭეშმარიტად სცოცხლობენ ისინი.

* * *

შეხედეთ! ისინი გვიჩვენებენ სისხლიში ამოსვრილ ხელებს, ისინი ჩვენს წინაალმდეგ უშვებენ შემოდგომის, უთვალავ, სუსხიან დღეებს და ხმამაღლა ჰყვირიან:

— არ არსებობენ ისინი! არა! არა და არა! ისინი დახვრეტილნი არიან, დაფლეთილნი და განგმრეულნი... ისინი გაქრენ, წავიდენ, ორთქლად იქცენ! ისინი არ არსებობენ! არა! არა და არა! ხა, ხა, ხა, ხა!...

კარლ ლიბკნეხტი.

მაგრამ ლოდებრ ძლიერი და მაგარი სიტყვები ეხეთქება მათ საპასუხოდ:

— ბრიყვებო! სულელებო! მრწამსი უკვდავია!

* * *

დე, ცა ღრუბლებით იყოს პირქუში და მდუმარე, განა არ იცი, რომ მზე მაინც ანათებს?

ა. ბეზიმენსკი.

ა ჯ ა ნ ყ ე ბ უ ლ ი მ თ ე ბ ი

ბალკანეთის ნახევარკუნძულის „ასავლეთით, სადაც მზის ნათელ შუქზე გადაშლილა ადრიატიის ხღვის აქათეგბული ტალღები, რომლებიც გამუდმებით ეხეთქებიან კლდოვან ნაპირებს, ამაყად და დინჯად ამართულან შავი მთის ფრიალო კლდეები.

ეს ყველაზე უფრო უდაბური ადგილია მთელს ევროპაში. მწვანე ტყით დაფარულა მთის კალთები, ფერდოები, კლდეები და ღრეები.

ალპის დაბლობში მუდამ დახტიან და დაკუნტრუშობენ წვრილფეხა თხები. თხემებზე გადმორბის ბროლის წინწკლებივით დარხეული მთის ნაკარა ხეობელი. ჩალაგებულ და ჩაშვებულ ბუნაგებში, იქ სადაც წლიდან-წლობამდე არ შეიჭრება მზის ცხოველი შუქი, იქ სადაც ჯერ ადამიანს ფეხი არ შეუდგამს, დინჯად და ბუზღუნით დადიან გრძელ-ბეწვებიანი დათვები. კლდეებზე, პაპანაქება იცხეში გაწოლილან უცნაური გველები, თბებიან და იხრუკებიან მზის ელვარე შუქზე. იქ კი, სადაც მორს, ცის უსაზღვროობამდე ამართულ მთის მწვერვალებზე დაფენილი თოვლი ხან ლურჯათ, ხან თეთრად ელვარებს.

შავი მთის მაგვრემან ქალ-ვაჟებს უყვართ, სწყურიათ თავისუფლება.

ტფილისი
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ხუთასიოდე წლის წინად, კოსოვში მომხდარ ომის დასრულების შემდეგ აქეთკენ, დასავლეთის ამ მიუვალ მთის ორწოხებისაკენ, გამოემართენ დამარცხებულ სერბიის ჯარის ნაწილები და მათ, ამ შავ მთის კალთებში შემოაფარეს თავი. აქ მათ შექმნეს ახალი ერი.

ხუთასი წლის განმავლობაში რამდენიმე ასეული ათასი ჩერნოგორელი, ცეცხლითა და მახვილით მუსრავდა შემოსეულ მტრის ურდოებს და თავგანწირვით იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობისათვის.



ფაშისტების სამხედრო ნაწილი.

სისხლით გაჟღენთილია ამ ქვეყნის საზღვრებზე მდებარე შავი მთის მაღალი კლდეები; არა ერთსა და ორ სისხლის მდომელ ფაშას დარჩენია ამ დაბლობებში და კლდის ფერდობზე ხმლით მოჭრილი თავი. არა ერთი და ორი ვერაგ ფაშას თავი ყოფილა გრძელ სარზე წამოცმული სულთანის მრისხანების საწინააღმდეგოდ; არა ერთი და ორი მტრის ლაშქრის ბელადის თავი ყოფილა მახვილზე წამოცმული, რომელთა ჩაღამებული თვალთა უპეები გასკქეროდენ იმ ქვეყნის ნარ-ეკლით მოფენილ შარა გზებს, საიდანაც ისინი გადმოხვეწილან, ამ თავისუფლების წყურვილით აღტკინებული ხალხის შესამუსრავად.

ათასი სხვადასხვა პოლკები, დაქირავებულნი ვენეციელები, შუა დუნაის იმპერიის ჯარები, და ნაპალეონ ბონაპარტის გრენადერები თავიანთი ქუსლით სთელავდენ ჩერნოგორელების მამა-პაპეულს. კლდოვანი ნაპრალები და ხეობები ასეულ წლების განმავლობაში ცახცახებდენ შავი სიკვდილის წინაშე და განადგურება ემუქრებოდა ყველა იმათ, ვინც ხმას აიმაღლებდა ხოლმე შავი მთის თავისუფლებისათვის.

საუკუნეები ტანჯვით და წვალებით მისდევენ ერთიმეორეს და ყოველთვის უცვლელი რჩებოდა შავი მთის ყოფა-ცხოვრება, მისი ერთფეროვანი, სევდით დამძიმებული თემები. საუკუნოებით ხელუხლებელი რჩებოდა თემთა პატრიორქალური წყობილება. საუკუნოებით განაგრძობდა არსებობას ნატურალური მეურნეობა, საუკუნოების განმავლობაში მთის კალთებისაკენ მიერეკებოდენ ცხვრისა და თხის ფარას ჩერნოგორელი შიშველ-ტიტველი ბავშვები, ისინი სალამურის დამღონებელი სევდიან ჰანგით კვალდაკვალ მისდევდენ ნახირს, რომელიც წარმოადგენდა ჩერნოგორელ მკვიდრთა არსებობის უმთავრეს წყაროს. საუკუნოების განმავლობაში ერთი მოდგმიდან მეორეზე გადიოდა სისხლის აღებისა და შურისძიების ანდერძი. ჩერნოგორელები მუდამ ცხოვრობდენ მამასახლისთა მოუთმენელი და ველურ ხელისუფლების კლანჭებში. მათ არ მიჰკარებია ცივილიზაცია, ისინი არ დაავადებულან ბურჟუაზიულ კულტურის მსუსხავი ბაცილებით.

გავიდა დრო ყოვლის შემცვლელი.., დაბლობებში აალარუნეს იარაღი. ცის ტატნობზე გამოჩდენ რკინის, მქმილარუნავი, გველეშაპები — თვითმფრინავები, ნისლით დაბურულ ზღვის სივრცეში კოშკებივით აიმართენ ჯავშნოსან გემების მაღალი იალქნები, საიდანაც ქვესკნელის გრგვინვასავით გაისმა ყუმბარების გრიალი და ტყვიამფრქვეველთა მომაკვდინებელი კაკანი. სისხლით, გაპოხიერდა ძიწა, კვნესით, ვაი-ვაშითა და წუხილით აივსო მთელი მხარე, მთის ყველა მიუვალი ხეობები და ორწოხები.

* * *

დადგა 1914 წელი.

„თეთრი მეფის" დასაცავად, წლების განმავლობაში წარმოებულ დიპლომატიურ ლათაიებს, რომელმაც მოიცვა მთელი ბალკანეთის მხარე, შედეგათ მოჰყვა ჩერნოგორელთა გალაშქრება ოსმალთა წინააღმდეგ. „თეთრმა მეფემ" მათ გამოუგზავნა ტყვის თოფები, სასახლისაგან კურთხევა და ამრიგად მეფემ გააგზავნა ისინი „უდიდესი საქმის" სისრულეში მოსაყვანად რუსეთის იმპერიის ოსმალთა სრუტეების დასაპყრობად. ამრიგად ჩერნოგორელებმა დაიწყეს უკანასკნელი ომი; მძიმე და გამანადგურებელმა ყუმბარებმა ნაცარტუტად აქციეს მთების მაღალი და მიუვალი მწვერვალები, დაარბიეს და გააჩანაგეს ყველგან ვენახები, ბოსტნები, ბაღები, ყანები და პირისაგან მიწისა აღგავენ ღარიბ-ღატაკთა ქოხმახები. ქლოროფილის შხამიანი ბურუსის ტალღებმა დაფარეს მთელი მხარე და ამოგუდეს შავი მთის თავისუფლების დამცველი გმირები; ამრიგად ხუთი საუკუნის შემდეგ, ჩერნოგორიის მთის ბილიკებზე და ხეობებში კვლავ გამოჩნდენ ძლევამოსილი მტრის რუხი ფარაჯები და ქურთკები. ავსტრო-უნგრეთის საოკუპაციო ჯარებმა გადმოლახეს სისხლით გაპოხიერებული საზღვრები და დაიმორჩილეს მთელი მხარე.

დარბეული იქნა ჩერნოგორია. მთელი მოსახლეობას ნახევარი იარაღის ქვეშ განგმირული დაეცა. ათასი, ჩერნოგორიელი მამაკაცი გადაიხვეწა იტალიაში. ათეული ათასი დაიღუპა ტყვეობის მძიმე პირობებში.

უკვე აღარ დახტოდენ მინდვრად თხები; ჩამოქცეულ და დაცირელებულ ქოხმახებიდან, შუადღის პაპანაქება სიცხეში მზეზე გასათბობად, გამოდიოდენ ხვლიკები და ათასგვარი ქვეწარმავალნი.

ოქროს მუნდირებში გადაცმული გენერლები და გახამებული საყელოიანი, სუფთად მოპარსული დიპლომატები, გამარჯვებულნი და დამარცხებულნი, ვერსალში კრავდენ ხელშეკრულებას. ანტანტის მხედრობის ხელმძ-

ლვანელ ბელადებს ბალკანეთში ავსტრო-უნგრეთის და ბულგარეთის წინააღმდეგ ესაჭიროებათ ძლიერი მუშტი. და აი, ნახევარკუნძულის დასავლეთით გამოჩნდა უსუსური, მაგრამ მოუსვენარი და გახრწნილი პარაზიტი, ვერსალიის მიერ ნაშობი, უდღეური სამხრეთ-სლავია. სერბიის ყოფილ ტერიტორიაზე, ავსტრო-უნგრეთის ყოფილ პროვინციებში, კროაცია — სლოვენიასა და ყოფილ ჩერნოგორიას შორის გამოცხადდა სლავიანელთა „ძ მ უ რ ი გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა", რაც მოხდა ვაშინგტონის კარნახითა და ბელგრადის მაგარი კომბლის შიშით. „ჩ ე რ ნ ო გ ო რ ე ლ ბ მ ა ძ მ ე ბ მ ა" „პ რ ე ჩ ა ნ ი ს ო ლ ქ ი" აავსეს ხვლიკებივით შხამით ავსილი და მკბენარა ჟანდარმებით. დასრულდა ჩერნოგორიის არსებობა, მას დაარქვეს „ზ ე დ ს კ ი ს ო ლ ქ ი" გარეწარი და მუდამ მოღუშული მთიულები, რომლებიც კვდებოდენ ვიღაცისათვის აუცილებლად საჭირო „ს ლ ა ვ ი ა ნ ე ლ თ ა გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ი ს ს ა ქ მ ი ს ა თ ვ ი ს", ხელმეორედ მოტყუილებულნი დარჩენ.

მთელს ოლქში ყოველ 50 კაცზე თითო ჟანდარმი მოდიოდა. მთელი მხარე გაივსო იარაღით; გააწესეს აუტანელი გადასახადები, ჯარში გაწვევა, დამცირება და დაბეჩავება.

დამოუკიდებულ ჩერნოგორიის ისტორია დასრულდა.

რამდენად დიდია უეცრად კაზრე მომდგარი უბედურება, იმდენად ძნელია მისი სიღრმეში ჩაწვდომა და მისგან გამომდინარე მწარე შედეგების გათვალისწინება. ამრიგად მთიელთა მიამიტ შვილებს არ ესმოდათ კარგად ამ უბედურების უდიდესი მნიშვნელობა. ეიღონ თუ არა იარაღი? ჩაასახლონ თუ არა პატარა მხარეში ჟანდარმთა ბრიგადები? გაადიდონ გადასახადები? ყველაფერი ეს აუცილებლად საჭიროა!.. ასე ირწმუნებიან ხუცები, სოფლის მწერელები და ვაჭრები. ამასვე ამტკიცებენ და ადას ტურებენ პატივცემულნი და წარჩინებულნი. ბევრი მტერი ყავს სლავიანურ სამეფოს... ვერ შესძლეს ჩერნოგორელებმა თავდაცვის წარმოება... მაშასადამე მათ იარაღი არ ესაჭიროებათ... მათთვის საჭიროა სამთო ზარბაზნებით და ტყვიამფრქვეველებით კარგად შეიარაღებული ჟანდარმთა ბანდები...

ასე ირწმუნებოდენ „პ ა ტ ი ვ ც ე მ უ ლ ნ ი დ ა წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ნ ი".

გარბოდენ თვეები. სულ უფრო მაგრად უჭერდა ხელს შავმთას ბელგრადი. პატარა ქალაქები სოფლები და ღარიბ-ღატაკთა ქოხმახები უფრო ღრმად ინთქებოდენ თანამედროვე ევროპის გახრწნილ წუმპეში. ოქრო, ვერცხლი ავტომობილები და ყოველგვარი საუნჯე გადავიდა იმათ განკარგულებაში, ვინც ემსახურა და დაექვემდებარა ბელგრადის განკარგულებებს; ვინც გადაიქცა უსიტყვო-მორჩილებით ამ უკანასკნელის ყურმოჭრილ მონად. დიდი სერბიის ფაშისტურმა კავშირმა ჩერნოგორიაში გახსნა თავისი განყოფილება. ისინი ამტკიცებდენ, რომ არ არის ჩერნოგორია, არ არიან ჩერნოგორელები, არამედ არის ძლევამოსილი და უძლეველი სამხრეთ სლავია. განადგურება ყველას, ვინც ასე არ ფიქრობს!!! კვლავ სიკვდილმა გაშალა შავი სუდარა და შეუდგა თავისი ცელით ახალ მსხვერპლთა მოთიბვას... დაღვრილ სისხლს აშრობს მზე და ნისლივით დგება მაღლა კლდეებიდან ორთქლი, ეს არის თავისუფალ წინაპართა სისხლი. ეს არის სისხლი, რომელიც უწყალოდ ადის ადგილობრივ მკვიდრს საუკუნეთა გახძავლობაში, მორალისა და ფიზიკური ტანჯვებით მიყენებულ ჭრილობის გამო, ეს არის სისხლი, რომელიც აქ დაახთხიეს ცეცხლითა და მახვილით შურისძიების გეგძების სისრულეძი ძოსაყვახად შემოსეულძა მტრის ჯარების ხელმძღვახელმა. მთელი სოფლები აიყარენ და უგზო-უკვლოდ გადაიხვეწენ ალპის მაღალ მთების გვირაბებსა და ბნელ ორწოხებში. ახალგაზრდები, მოხუცები, ქალები, თუ ბავშვები გარბოდენ დაძკვიდრებულ მკაცრ კახონებით უფლება აყოლხი და შევიწროვებულნი... ისინი სტოვებდეა ძაძულ-დედულს, საძ ძობლოს სოფლებს, საყვარელ კარმიდაძოს, რომ შეეყვარებიათ იარაღი, რომ თავისუფლებისათვის ძებნაძი მისცემოდენ შავ სიკვდილს. სწორედ იმ დროს, როცა მთელი საძყარო შეირყა, როცა ქვესკნელის გვრვინვამ რეტიაიივით შეაბარბაცა დედამიწა, მათ დაიწყეს ხაგვიახევი ომი, იძათ წინააღმდეგ, ვინც თვით დაამკვიდრა და დააწესა ამ უდანაშაულო ხალხზე თავისი ბატოხობა.

* * *

პარიზში, ბალკანების თეთრ ტერორის წინააღმდეგ მებრძოლ კომიტეტში არის ერთი პატარა წიგნაკი, რომელშიაც არ არის არც ერთი მოჭორილი და გამოგონილი წინადადება. ამ წიგნაკის ფურცლებზე სრულიად მშრალი და მარტივი ენით საინფორმაციო ბიურო მოგვითხრობს ზემოხსენებულ ამბების შემაძრუწუნებელ ფაქტებს... ბევრია სინამდვილე ცოცხალი და უტყუარი, რომლის უარყოფა ისტორიაში არ შეუძლია არც ერთ ჯალათს, არც ერთ ინკვიზიტორს. ამ წიგნში ჩამოთვლილია მრავალი გმირ გლეხების სახელები... ვინ მოსთვლის, ვინ დაიმახსოვრებს ყველა იმათ სახელებს?!... ეს შეუძლებელია!.. ეს აღემატება ძალღონეს. მაგრამ ყველა ის ფაქტები, რომ-



პეტერსონის აბრეშუმის ქარხნის (ამერიკა) მუშების გაფიცვის გამოსურათზე — მუშები სტოვებენ ქარხანას.

ლის შესახებ ლაპარაკით ამ წიგნაკში სამუდამოდ, ისე ღრმად იჭრება მეხსიერებაში, რომ მას ვერასოდეს გონებიდან ვერ მოიშორებს ვერც ერთი ადამიანი.....

„... ერთი სამოცდაათი წლის მოხუცი და სამოცი წლის დედაბერი ჟანდარმებმა შიშველ ფეხით დააყენეს გახურებულ ტაფაზე, ასეთი საშვალებით ჟანდარმები აიძულებდენ მშობლებს ეთქვათ, თუ სად იმყოფებოდა მათი ერთად-ერთი შვილი, რომელიც თითქოს პარტიზანულ რაზმში უნდა ყოფილიყო ჩაწერილი"...

„... ერთი პარტიზანელის ცოლს ჟანდარმა ხიშტით გამოფატრა მუცელი, ქალს მუცლიდან ცოცხალი ბავში გამოაცალა. რომელსაც ხელი წაავლო ფეხებში და თავით ქვაზე დაანარცხა..."

„... ჟანდარმებმა უფროსის განკარგულებით გადასწვეს მთელი სოფელი, რომელმაც ერთი კვირის უკან პარტიზანულ რაზმს მიაწოდა სურსათ-სანოვაგე..."

„... ერთ პარტიზანელს პატიმრობის დროს ცხელში მოსჭრეს ცხვირი, ყურები და ენა. შემდეგ უკანა ტანში სარი გაუყარეს და ეგრე დატოვეს..."

ეს დანაშაულებათა მთლიანი ეპოპეია.

ჩვენს დროში კვლავ განმეორდა საშუალო საუკუნეების ინკვიზიციის დღეები.

საშინელება კვლავ ეწვია მთებს და დაბლობებს. ცეცხლმოკიდებულ სოფლებიდან ცის უსაზღვროებაში ამართული ხანძარი წითლად აელვარებდა ცის გუმბათს... ირგვლივ გაისმოდა მომაკვდავთა უკანასკნელი ამოკვნესა ტირილი... გლოვა... მწუხარება... საპატიმროებიც აივსენ პატიმრებით, რომლებსაც ემუქრებოდა განადგურება.

შავი სიკვდილი ხითხითებდა... იქნევდა ცელს და სთიბავდა ახალ ახალ მსხვერპლთ...

ზეიმს იხდიდა სიკვდილი.

მარკო.

(გაგრძელება იქნება)

„დახმარების კვირეული" იაპონიაში

მიმდინარე წლის სექტემბრის 10-დან 16-დე „გ ა მ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ე ლ მ ო ძ რ ა ო ბ ი ს მ ს ხ ვ ე რ პ ლ თ ა დ ა მ ხ მ ა რ ე ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა მ" ჩაატარა „დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს კ ვ ი რ ე უ ლ ი".

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლების მხრივ ის განიცდიდა საშინელ დევნას, რომლითაც ხელს უშლიდენ მის ნაყოფიერ მუშაობას ის მაინც დღითი-დღე იზრდება და მტკიცდება. ის თანისთან ფართედ იჭრება მუშათა და გლეხთა მასებში. აგვისტოს ბოლო რიცხვებში უკვე ჩამოყალიბებული იყო 27 ორგანიზაცია,

ბორდოში (საფრანგეთი) დოკერების გაფიცვის გამო. სურათზე — ბორდოს ნავთსადგური, სადაც დღეს არავითარი მუშაობა არ სწარმოებს.

რომლებშიაც ირიცხებოდა 9.000 მეტი ინდივიდუალური წევრი.

დღეს ორგანიზაცია თავის უმთავრეს ამოცანად ისახავს პატიმრებისა და მათი ოჯახის წევრებისადმი მატერიალურ დახმარების აღმოჩენას. მარტიდან, 11 საპატიჭროში 3.000 პატიმრიდან დღემდე 500 რევოლიუციონერი დარჩა. ყველა იმათ ბრალი ედებათ „მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ო ბ ი ს დ ა ც ვ ი ს კ ა ნ ო ნ ი ს ძ ა ლ ი თ". ამ კანონს ხალხურ ენაზე ეწოდება „კ ა ნ ო ნ ი მ ა ვ ნ ე ა ზ რ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ".

ბრალდებულებს ემუქრება სიკვდილით დასჯა, ან მრავალი წლით კატორღა. მთავრობას ეშინია საზოგადოებრივი აზრის ამხედრების, ამიტომ მან გადასწყვიტა ბრალდებულების ჩუმად გასამართლება. გარდა ამისა, იმ მოსაზრებით, რომ პროცესს გრანდიოზული ხასიათი არ მიეღო გადასწყვიტეს ბრალდებულთა ნაწილ-ნაწილად გასამართლება იმ ადგილებში, სადაც ისინი იმყოფებოდენ საპატიმროებში. ბევრ ბრალდებულთა საქმის გამო წინასწარი გამოძიება უკვე ჩატარებულია.

„გ ა მ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ე ლ მ ო ძ რ ა ო ბ ი ს მ ს ხ ვ ე რ პ ლ თ ა დ ა მ ხ მ ა რ ე კ ო მ ი ტ ტ მ ა" შესძლო მასების დარაზმვა პოლიტ-პატიმრებისადმი დახმარების აღმოჩენის ამოცანების ირგვლივ. კვირეულის ჩატარების დროს ყოველმა ფაბრიკა-ქარხანამ შეფობა აიღო იმ პატიმრებზე, რომლებიც წინად ამ ქარხნებში მუშაობდენ. ამ მუშაობის ჩასატარებლად მობილიზაცია გაუკეთდა აგრეთვე პროფკავშირის წევრებსაც. ბევრ ქალაქებში ამა თუ იმ პროფკავშირის წევრებმა ხელი მოაწერეს

პეტიციებზე, სადაც ისინი თავიანთი თავდებობის ქვეშ ითხოვდენ პატიმართა განთავისუფლებას.

ოსაკაში შეგროვილ იქნა 5.000 ხელის მოწერა, ხოლო ნოკაიდოსა და ოსახიგავაში ცოტათი ნაკლები. დაპატიმრებულთა ოჯახებისა და მათი მეგობართა შორის მოეწყო უდიდესი მიტინგები. მთელ ამ მუშაობაში უმაღლეს წერტილს მიაღწია „დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა მ“ კვირეულის განმავლობაში.

„დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს კ ვ ი რ ე უ ლ ი“ ჩატარებული იქნა 1923 წ. დიდი მიწის ძვრის დროს მომხდარ მასიურ მკვლელობების ხუთი წლის თავზე.

სექტემბრის 10 ჩატარებული იქნა კამპანია პოლიტ-პატიმრებისათვის „რ ე ი ს ფ ო ნ დ ი ს“ გასაძლიერებლად. ხოლო 16 სექტემბერი მთლიანად მიძღვნილ იყო 1923 წ. დაღუპულთა ხსოვნისადმი. ამ დღეს გავრცელებულ იქნა პლაკატები, ფურცლები და სხვადასხვა წიგნაკები. ამასთანავე ერთად მთელი ამ დღეების განმავლობაში ტარდებოდა ორგანიგაციაში ახალი წევრთა შემოკრება.

ამ კამპანიაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ყველა მუშათა და გლეხთა ფენებმა, ფაბრიკა-ქარხნებმა და სოფლებმა. პროლეტარულ პარტიასთან ჩამოყალიბებული იქნა სპეციალური კომისია ბრალდებულთა თავდების ქვეშ განსათავისუფლებლად საჭირო ლონისძიებათა შესაგროვებლად.

მთელი ეს მუშაობა მიმდინარეობდა შემდეგი ლოზუნგების ქვეშ: „დ ა უ ყ ო ნ ებ ლ ი ვ გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ უ ლ ი ქ ნ ა ნ პ ო ლ ი ტ-პ ა ტ ი მ რ ე ბ ი“, „გ ა ს ა მ ა რ თ ლ ე ბ ა ღ ი ა კ ა რ ე ბ შ ი“. „პ რ ო ც ე ს ი ს მ ს ვ ლ ე ლ ო ბ ი ს ა დ ა მ ი ს ი შ დ ე გ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ ს რ უ ლ ი ა ნ გ ა რ ი შ ი ს წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა პ რ ე ს ი ს ს ა შ უ ა ლ ებ ი თ“. „პ ა ტ ი მ ა რ თ ა თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ნ ა ხ ვ ა“. „პ ა ტ ი მ რ ებ ი ს ა თ ვ ი ს ს უ რ ს ა თ-ს ა ნ ო ვ ა გ ი ს დ ა უ ბ რ კ ო ლ ებ ლ ა დ გ ა დ ა ც ე მ ა და სხვ.“.

„გ ა მ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ებ ე ლ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს მ ს ხ ვ ე რ პ ლ თ ა დ ა მ ხ მ ა რ ე ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს“ მუშაობა დღითი-დღე ბრწყინვალე შედეგებს აღწევს. მუშებისა და გლეხების დაუღალავი და შეუჩერებელი ბრძოლის წარმოებასთან ერთად იზრდება ამ ორგანიზაციის გავლენა მშრომელთა მასებში.

ლ. ორონო.



ე ხ ს ა ნ უ ლ ა.
ოჯანყებულ სპარსელთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

როგორ ჩატარდა რემედასის კვირეული

„26-ის“ სახელობის რაიონი.

ოცდა ექვსის სახელობის რაიონში რემედასის კვირეული ჩატარდა ჩვენი აქტიური უჯრედების უშუალო ხელმძღვანელობით. კვირეულის ჩატარების დროს გამოჩენილ-და მთელი რიგი, როგორც მიღწევები, ისე ნაკლი ჩვენი ორგანიზაციის მუშაობისა.

კვირეულის განმავლობაში ყულაბებით შეგროვილი თანხა უდრის 1. 237 მან. და 10 კაპ. სხვა დანარჩენი სახის შემოსავალი ჯერ-ჯეროობით არაა გამორკვეული, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უთუოდ დადებით შედეგებს მივიღებთ.

არ შეიძლება აღფრთოვანებით არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ აქტივი დიდი ხალისით ეკიდებოდა კვირეულის ნაყოფიერად ჩატარებას, ვინაიდან უამისოდ ყოველად წარმოუდგენელი იყო კაპიტალის პატიმრებისადმი დახმარების აღმოჩენის ასე სასურველად ჩატარება რაიონის მასშტაბით.

კამპანიის საერთო ჯამი მიუკილებლად დამაკმაყოფილებლად უნდა იქნეს ცნობილი. კვირეულის ჩატარებამ გამოააშკარავა ის გარემოება, თუ რამდენად დაინტერესებულია ჩვენი აქტივი და მშრომელი მასა კაპიტალის პატიმართა და მათი უმწეოდ დარჩენილ ოჯახის წევრების ბედით, რომლებსაც ენატრებათ ლუკმა პური.

კვირეულის ჩატარებამ ამავე დროს ხელი შეუწყო რემედასის უჯრედებისაკენ ახალ წევრების ლტოლვას, ადგილებზე ორგანიზაციებისა და უჯრედების მუშაობის გამოცოცხლებას, რემედასისადმი მიძღვნილი საღამოების გამართვით.

კარპ გავრიილოვი.

ნაყოფიერად ვმუშაობთ

(ზესტაფონი. შორაპნის მაზრა)

ადგილობრივ პედაგოგიურ ტეხნიკუმთან, კომკავშირის ხელმძღვანელობით, 1925 წელს ჩამოყალიბდა რემედასის უჯრედი. პირველ ხანებში მუშაობა მოისუსტებდა,

კონსტანტინე ჩიკვატია

გალის რემედასის სამაზრკომის მდივანი, რომელმაც 1929 წლისათვის შეკრიბა 146 წლიური ხელისმომწერი ჟურნალ „რემედას"-ზე.

რაც აიხსნება იმით, რომ უჯრედში წევრები მცირე იყო. ამავე დროს ვერც უჯრედის ხელმძღვანელები ერკვეოდენ სათანადოთ რემედასის ამოცანებში.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია კომკავშირის ორგანიზაციამ, რასაც შედეგად მოჰყვა აღნიშნული ნაკლის საგრძნობლად გამოსწორება.

დღეს კი აღნიშნული უჯრედი აერთიანებს 60-მდე წევრს. უჯრედის ბიუროში გაყვანილნი არიან საკმაოდ მომზადებული ამხანაგები. წევრთა შორის ინტერნაციონალური აღმზრდელობითი მუშაობა სათანადო დონეზეა დაყენებული. იმართება კრებები, შუქდება ყველა ის საკითიები, რომლებიც დაკავშირებულია რემედასის მნიშვნელობასა და ამოცანებთან. წევრების მიერ შესწავლილია რემედასის წესდება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რემედასის ბიურო უდიდეს ყურადღებას აქცევს, როგორც ჟურნალ „რ ე მ ე დ ა ს"-ის, ისე საერთოდ რემედასის სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურის გავრცელებას. ამჟამად უჯრედის საშუალებით ვრცელდება 30 — 40 ცალი ჟურნალი.

რემედასის წევრები მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ რემედასის კვირეულის, ერთიანი დღეებისა და საღამო-წარმოდგენების ჩატარებაში. გარდა ამისა სასწავლებლის კედლის გაზეთში რემედასს დათმობილი აქვს სპეციალური კუთხე, სადაც სისტემატიურად შუქდება რემედასის მუშაობაში შემჩნეული ნაკლი და მიღწევები.

უნდა აღინიშნოს, რომ რემედასის უჯრედის მდივნის — ქსენია ქოჩიაშვილის მუშაობა მეტად ნაყოფიერია, რასაც უჯრედი მიჰყავს ახალ-ახალ მიღწევებისაკენ.

ვარლამ ზავგაროდნი.

რემედასის უჯრედები სოფლად

რემედასის რიგები თანდათან იზრდება. სოფლებში ჩნდება რემედასის ახალი უჯრედები. გლეხობა კმაყოფილებით ეწერება რემედასის რიგებში, როდესაც მათ უხსნიან საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს.

მაგრამ რემედასის მუშაობას სოფლად ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი, აქვს. ბევრგან რემედასის უჯრედების მუშაობა განისაზღვრება საწევრო გადასახადების მოგროვებით. გლეხობამ არ იცის რემედასის მნიშვნელობა. თვით რემედასის წვრთა შორის არ სწარმოებს აღმზრდელობითი მუშაობა. ქოხ-სამკითხველოსა და რემედასის უჯრედებს შორის არ არის დამყარებული მჭიდრო კავშირი.

ასეთი კუტურული დაწესებულება, როგორიც ქოხ-სამკითხველოა სოფლად, ყველაზე უკეთ შესძლებს რემედასის აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებას.

ქოხ-სამკითხველოებში უნდა ტარდებოდეს მოხსენებასაუბრები რემედასის მნიშვნელობის შესახებ. ქოხ-სამკითხველოების საშუალებითვე უნდა ვრცლდებოდეს რემედასის ლიტერატურა და სხვ. ასეთ მუშაობის დროს არც ქოხ-სამკითხველოსთან არსებული კედლის გაზეთი უნდა დავტოვოთ გამოუყენებელი.

თვითეული ფაქტი, რომელსაც საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობა იძლევა, დაუყონებლივ უნდა გამოყენებულ იქნეს კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებების მიერ აღმზრდელობითი მიზნებისთვის. ასეთი მუშაობით უთუოდ შევსძლებთ მომავალში რემედასის რიგებში მასების ფართე ნაწილის მიზიდვას და რემედასის უჯრედების მუშაობის თავის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებას.

ალ. ბედიაშვილი.

ოფიციალური განყოფილება

რემედასის საქართველოს ორგანიზაციების ტფილისის, ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

ყოველწლიურად, იანვარში საერთაშორისო პროლეტარიატი ხაზგასმით აღნიშნავს ფრიად საყურადღებო ფაქტებს, როგორიცაა მაგალითად: საერთაშორისო მუშათა კლასის დიდი ბელადის ვ ლ ა დ ი მ ე რ ი ლ ი ა ს ძ ე ლ ე ნ ი ნ ი ს გარდაცვალება, 1905 წ. სისხლიანი კვირა, 1919 წ. გერმანიის ბურჟუაზიასა და სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ბელადების მიერ კარლ ლიკბნეხტისა და როზა ლიუქსენბურგის ვერაგული მკვლელობა. ყველა ესენი მოაგონებს საერთაშორისო მებრძოლ მუშათა კლასს იმ მატად მძიმე დანაკლისებს. რომელიც მან დაჰკარგა რევოლიუციონურ ბრძოლების წარმოების დროს.

ეს განსაკუთრებული ხასიათის შემთხვევები აღნიშნული უნდა იქნეს რემედასის ორგანიზაციების მიერ მშრომელ მასებთან დაკავშირებით. ჯეროვანი ყურადღებით უნდა იქნეს აღნიშნული როგორც ლენინის დღეები, ისე 15 იანვარი, კარლ ლიკბნეხტის და როზა ლიუქსენბურგის მკვლელობის წლის თავი.

ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად რემედასის საქ. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ადგილებს ჩაატარონ შემდეგი:

1. რემედასის ორგანიზაციები ადგილებზე მჭიდროდ უნდა დაუკავშირდენ პარტიულ, კომკავშირულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს და მათთან შეთანხმებით ჩაატარონ მთელი მოსამზადებელი მუშაობა.

2. აღნიშნულ დღეების ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს როზა ლიუქსენბურგისა და კარლ ლიკბნეხტის მოღვაწეობის უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობას თანამედროვე მუშათა კლასის მოძრაობაში (ლიკბნეხტის როლი ახალგაზრდათა კომუნისტურ მოძრაობაში „სპარტაკი-"ს კავშირის დაარსებაში და სხვ.). ამავე დროს ხაზი უნდა გაესვას მათ დაუღალავ ბრძოლას მსოფლიო იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ.

3. ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე 1918 — 19 წ. წ. ამბებში სოციალ-დემოკრატიის გამცემლურ მოღვაწეობას. კარლ ლიკბნეხტის და როზა ლიუქსემბრუგის მკვლელობაში სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ბელადების უშუალო მონაწილეობას.

4. გაშუქებულ უნდა იქნეს შემდეგი წლების განმავლობაში სოციალ-დემოკრატიის გადასვლა ბურჟუაზიის მხარეზე, რომლითაც ის ხელს უწყობს თეთრი ტეროორისა და ფაშიზმის ზრდას მთელ რიგ ბურჟუაზიულ, კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში.

5. ახსნა-განმარტება უნდა მიეცეს იმ გარემოებას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პროლეტარიატის მოძრაობას, რათა საბჭოთა კავშირმა თავიდან აიცილოს ის ახალი უსაშინელესი ომის საფრთხე, რომელსაც ამზადებენ იმპერიალისტური სახელმწიფოები და რომელიც უწინარეს ყოვლისა მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

6. აღნიშნულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად ადგილებს ევალებათ მჭიდრო კავშირი იქონიონ კლუბებთან, ქოხ-სამკითხველოებთან და წითელ არმიელთა ყაზარმებთან, სადაც უნდა იქნას ჩატარებული მასიური კრებები, მიტინგები, საღამოები და სხვ..

7.მთელი ამ მუშაობის მსვლელობა და მისი შედეგები ფართედ უნდა იქნეს გაშუქებული, როგორც ადგილობრივ კედლის გაზეთებში, ისე პარტიულ საბჭოთა და რემედასის პრესაში.

რემედასის საქ. ც. კ. პას-მგ. მდივანი: **ქოიავა.**

სააგიტ.-საპროპ. განყ. გამგე: **ცქვიტინიძე.**

გამომცემლობისაგან!

რემედასის საქართველოს ცეკას გამომცემლობა აცხადებს, რომ ჟურნალ „რემედასი"-ს მე-12 ნომრის მაგივრად, როგორც ჩვენს ხელისმოწერლებს ახსოვთ, მათ მიღებული აქვთ ცეკას მიერ მიმდინარე წლის ზაფხულში გამოცემული ერთდღიური ჟურნალი: „კ ა პ ი ტ ა ლ ი ს პ ა ტ ი მ ა რ თ ა ხ მ ა".

ამრიგად, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად გამომცემლობა აცხადებს, რომ 1928 წ. განმავლობაში შეკრებული ჟურ. „რემედას"-ის 12 ნომერი მიღებული აქვთ ჩვენს ხელისმოწერლებს.

გამომცემლობა.

ტფილისის ს. ს. ბჭობის 1-ლი იუსტიციის კრების. № 91 მოგვარეობი № 45. შეკვეთა № 577. ტირაჟი 3000.

1928 წ. განმავლობაში რემედასის ქვემდებარე ორგანიზაციების მიერ წლიური ხარჯთ-აღრიცხვის შესრულება.

№№	ორგანიზაციების დასახელება	გათვალისწ. წლ. შემოს. მან.	კ.	შემოვიდა 15/XII 28 წ. მან.	კ.	% % % შესრულ. 11½ თვის
1	ტფილისის კომიტ.	19075	33	19013	84	99,2
2	აფხაზეთის საოლქო კომიტ	4278	—	4846	—	183,6
3	ახალციხის სამ. კომ.	825	—	1195	44	144,3
4	აჭარისტანის საოლქო კომ.	5840	80	5119	29	85,94
5	ბორჩალოს სამ. კომ.	737	02	574	—	71,0
6	ქუთაისის (და სამტრედიის) სამ. კომ.	9601	84	6362	10	66,3
7	გორის სამ. კომ. (გორი-ბორჯ. ხაშური)	2713	18	1385	56	51,0
8	კახეთის სამ. კომ.	4658	28	2211	76	47,0
9	ფოთის „ „	3724	20	1167	13	31,0
10	შორაპანი-ჭიათურა	4121	60	1070	—	25,1
11	ზუგდიდის „ „	2265	—	416	60	18,8
12	სენაკის „ „	1798	—	266	—	14,71
13	რაჭა-ლეჩხუმის სამ. კომ.	408	—	191	50	46,96
14	სამხრეთ ოსეთის საოლქ. კომ.	—	—	168	74	—
15	ოზურგეთის სამ. კომ.	—	—	795	70	—
16	ახალქალაქის „ „	—	—	302	96	—
		60046	25	48086	62	—

რემედასის საქ. ცენტ. კომ. 1929 წ. გათვალისწ. საოლრიენტ. შემოსავ. განაწილება

№№	საოლქო და სამაზრო კომიტეტების დასახელება	ჯამი მან.	კ.
1	ტფილისის სამ. კომ.	25000	—
2	აფხაზეთის საოლ. კომ.	10000	—
3	აჭარისტანის საოლ. კომ	8000	—
4	ქუთაისის სამ. კომ.	7300	—
5	შორაპანის „ „	3000	—
6	გორის „ „	3000	—
7	ფოთის „ „	3000	—
8	კახეთის „ „	3000	—
9	ზუგდიდის „ „	2000	—
10	სენაკის „ „	2000	—
11	სამხრეთ ოსეთის საოლქ. კომ.	2000	—
12	ახალციხის სამ. კომ.	2000	—
13	ოზურგეთის „ „	2000	—
14	ბორჩალოს „ „	1000	—
15	ახალქალაქის „ „	1000	—
16	რაჭა-ლეჩხუმის სამ. კომ.	700	—
		75000	—

პოლიტ-პატიმართა წერილები

წერილი რუმინეთის ციხეებიდან

ყოველმხრივ ციხის კედლებით და მცველებ-ჯაშუშებით შემორტყმულნი, სინათლეს და წმინდა ჰაერს მოკლებული პატიმრები მიათრევენ დღეებს ათასგვარ მეტად საინტერესო და ვირტუოზულ გამოგონებით. ასე მაგალითად, ბასტილიაში მოთავსებულ ერთ ფრანგ რევოლიუციონერმა ასწავლა ვირთაგვას მეზობელ საკნებში წერილების მიტანა.

ნემსებით ჩაწერილი წერილი

პეტრეპავლეს ციხეში ჩამარხულ რუსი მეამბოხენი ათასგვარ ცდებს და ხერხებს მიმართავდენ, რათა თავისი რევოლიუციონური აღფრთოვანება და სულისკვეთება გამოეტანათ ციხის გარეთ. პურის ბუშტებს ავსებდენ მელნით, სწერდენ რევოლიუციონურ სულისკვეთებით გაჟღენთილ წერილებს, ბროშურებს და ახერხებდენ მათი გამოგზავნას თავისუფლებაში მყოფ ამხანაგებისათვის. ამ ბუშტების აღმოჩენა ციხის ჯაშუშების მიერ გამოიწვევდა შეტად არა სასიამოვნო შედეგებს, ამიტომ პატიმრები შეატყობდენ თუ არა მათ მოახლოვებას, მაშინვე გადაყლაპავდენ ამ მელნიან პურის ბუშტებს. ლენინს არა ერთი და ორი ასეთი ბუშტი აქვს გადაყლაპული აღნიშნულ ციხეში ყოფნის დროს. გარდა ამისა გამოგზავნილ წიგნებში ნემსით ჩხვლეტავდენ ასოებს, აღგენდნენ ტექსტს, მოწოდებებს და უგზავნიდენ თავისუფლებაში მყოფ რევოლიუციონერებს ყველაფერი ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მეფის მთავრობას და მის ჟანდარმერიას საუკუნოდ დაჭარხულად მიეჩნდა ყოველგვარი რევოლიუციონური საფრთხე.

ამგვარ ხერხებს მიმართავენ დღესაც რუმინეთის ციხეებში მოთავსებული პოლიტპატიმრები. ისინი დიდი წვალებით, მაგრამ მაინც ახერხებენ აღნიშნულ ხერხებით შედგენილ წერილების გზავნას საბჭოთა კავშირში და ამით აცნობენ ჩვენს მუშებს და გლეხებს იმ დევნას და ბოროტებას, რომელსაც სჩადიან კაპიტალისტები პოლიტპატიმრების მიმართ.

ბნელ, მიყრუებულ საკნის კუთხეში შეგროვებულან „ყაჩაღები“ და სწერენ თავისუფლებაში მყოფ ამხანაგებისადმი გასაგზავნ წერილს. ხანში შესულ პატიმრებს, რომელთაც განუცდიათ ბევრი სხვადასხვა ციხეების რეჟიმი, რადგანაც მას ისინი მიუღწეველათ თვლიან. მათ წარმოდგენილი არა აქვთ ის, თუ როგორ მიაღწევს ეს წერილი თავისუფლებაში მყოფთადმი.

მაგრამ იქვე მყოფი ახალგაზრდა პატიმარი, რომელიც ისე იტანჯება თავისუფლებისათვის, ისე უცქერის ამ წერილს, ვითომდა ცდილობს შთაბეჭდოს მასში თავისი მოუთმენლობა. აღელვება და სურვილი თავისუფლებისადმი.

ცხენოსან მილიცია ჰფანტავს ნიუ-დეერსში აბრეშუმის ქარხნის გაფიცულ მუშებს.

შეციებული და საბანში გახვეული მელითონე, რომელიც აგერ ორი წელიწადია, რაც ებრძვის ჭლექს, მწუხარებით, აღშფოთებით გამოსთქვამს უიმედობას. იქვე მყოფი სხვა პატიმრები — ზოგი იგივე უიმედობით შეპყრობილი, ზოგი კი იმედით ანთებული, ზოგი დაღლილობით ძალლონე მიხდილი სდგანან და აუწერელ განცდებით შეჰყურებენ წერილს.

შემდეგ წერილი გაგზავნეს. პატიმრებს ყოველ დღე სცემდენ, აწვალებდენ, ჟანდარმები იჭერდენ და თხოულობდნენ მათგან წერილის ავტორის გაცემას. წერილი უსახელოა. მაგრამ პოლიტ-პატიმრები, რომლის სწყვეტდენ წერილების წერას და ზემოდან ციხის ფანჯრიდან ქვემოთ ჩამოშვებას, ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ ქუჩის ბიჭმა ჟანდარმებს არ მოასწრო და არ აიღო ციხიდან გადმოგდებული წერილი. წერილმა ხელიდან ხელზე გადასვლა იწყო. საზღვარზე გადმოსულმა ამხანაგმა ეს წერილი ჩააგდო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მყოფ ფოსტის ყუთში. წერილი მივიღეთ. აქედან ნათლად სჩანდა დამწერთა არა მარტო სულისკვეთება, არამედ მათი შურიც, მათი ანთებული თვალები.

რა ეწერა წერილში? დახმარების თხოვნა, იმედი გადარჩენაზე და აუწერელი ტანჯვა, რომელსაც ისინი განიცდიან ჭალათებიდან. ციხის კედლების დანგრევის მოწოდებასთან პატარა თხოვნაც არის დართული — გაუგზავნოთ თბილი საცვლები ავადმყოფ ამხანაგებისათვის.

პასუხ. რედაქტორი: თენგიზ ფლენტი.

სარ. კოლეგია:
1. ალექსანდრე ჟოლიაშვ.
2. მიხეილ ცაქვიტინიძე.
3. პოლიდო აბრამია.

ფასი 20 კაპ.

რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტის გამომცემლობა

ტფილისი კომინტერნის ქ. № 5. II-ე სართ.

მიიღება ხელის მოწერა

რემედას-ზე

ჟურნალ

1 9 2 8 3 4 5 6 7 8

ჟურნალ

რემედას

გამოვა

12

ნომერი

ხელის მოწ. პირობები:

1 თვით	20 კ.
3 თვით	60 „
6 თვით	1 მ. 15 „
9 თვით	1 „ 70 „
1 წლით	2 „ 20 „